კვირა, 8 ნოემბერი

ფასი 10 კაპ.

მათრახი

და სალამური

№ 22

ყოველ-კვირეული, იუმორისტული ჟურნალი

სექსი და სიყვარული.

(არსი ბინაგანი გრ. როზაქიძის ლექციისა 27 ოქტ.)

მსურს გითხრათ მცირე ამბავი
სექსის და სიყვარულისა,
(ვეინინგერის წიგნიდან
სათქვენოდ მოპარულისა)

მაგრამ გთხოვთ სიტყვა ქართული
არ დამიწუნოთ ნახმარი
ფილოსოფიის ზღუდეში
სიტყვებიც უნდა სხვაგვარი.
ყოველი არსი ქვეყნიურ
ფლუნილი, კაცათ სახული
ან მამრობითსა, ან მდედრულ

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

სქესშია გამოსახული.
მის გამონაკვთვას ნასკვულსა
სისრულე დიახ ეკლების,
ვერ ანსახივრებს მაგვარსა
დროთ უსრულ ყოფას ეცლების.
და ესე გარდა-ლინება
არს ყოფად ყოფა ნებისა:
გარეშე სამამრ მდედროთა
არსი არ ევლინებისა.
ორ, ნახევართა არსთაგან
გაინაკვთების რამ მთელი;
იქ დაიბადვის სახული
ვით ნათელს შობვს სანთელი.
გამო ამისა ისწრაფვის
ნახევარ წილადდებული
მეორე ნახევრისადმი,
მისწრაფებაში ქებული.
ვით ტალღი ზღვისა ზვიადი,
ვით სხივი მზისა მშუქნავი
ვით ჰანგი ჰიანურისა,
ზეფირის ზვირთი მბუქნავი,
ვით მხეცი სამკვდროთ ნაჭერი
ვით ტყვია ცხელი, გაჰკვეთი,
ვით მოციმციმე ვარსკვლავი,
ვითა გიჟმაჟი ნაფეთი,
ეგრეთ ისწრაფვის უსახო
ნახევარ გარნასახები,
და ეძებს თვისსა ნახევარს,
გიჟურათ დანაზახები.
მას ლტოლვას გიჟურ დრეკილსა
სიყვარულს უხმობთ წესებათ
და არსნი მომლტოლვარენი
ისახებიან სქესებათ.
აქ ერთი არსი, რომელი
ნახევარ მყოფი ცალპირად
აზრისა თვისის სივრცეში
გეგმასა იდგამს ზეპირად.
და გეგმა ესე ნასახი,
მეორე სქესის ხატება,
ოდეს იხილავს მაგვარსა
მყისვე თვალთ დაეხატება
და ილტვის მისდა კიდღრად
გიჟურის ლტოლვილებითა,
არა გონების წინდენით,
არამედ განგის ნებითა.
ილტვის და არა იცის მან
არც დაბრკოლება, არც მარცხი
იმა ხატებას ესწრაფვის
თუნდ ცისპირ იყოს ნანარცხი.

და როს მიაღწევს გარნაღა
სასურველს წილადდებულსა
გაინაკვთების იმ არსში
კაცობრიობის ბედადა.
მაგრამ არსება ყოველი
სულ მყოფი ქვეყნად რებული
არს ხორცისა და სულისგან
შედგენილ შემყარებული.
სული მაღლა სდგას ხორცზედა
ვით თავნი ჩვენნი ფერხზედან
და მოციმცე ვარსკვლავნი
მთვარესა ზე და მზეზედან.
ამისა გამო, მრავლობა
დრეკაა სქესთა სწრაფვისა,
და სძლიოს ამა ვნებამან
ხორცი, სულთ ფლობა აქ ვისსა.
მაგრამ ზე არსნი კაცადნი
ხორცს სულთა დანუმონებენ...
სქესურსა მიდრეკილებას
გარნა ყოველნი მონებენ?
მათ სული თვისი, განაწრთი
ამაოს განაცაშორეს
და შეურთეს სივრცესა
უსრულებელსა და შორეს.
ეს „განდეგილმა'' ვერ შესძლო,
ილიას დანახატებმა!
ის ძლია ხორცის სურვილმა
სქესობამ განამატებმა!
მაგრამ ძირს ხორცი, ძირს სქესი,
სული ზე არსთა ბრწყინვალებს.
გადუდგეთ ამაოებას
უზენაესი, გვავალებს.
გავექცეთ ჩვენთა ნახევართ
ვიყვეთ ნახევარ რებული,
სული მაღლა სდგას ხორცზედა
ამაოს აღშორებული.

—კი.

ეშმაკის ინტერვიუ.

იაკობ გოგებაშვილთან.

ზომიერის მორიდებით შევაღე ჩვენი პატრიარქ-პედაგოგის ოთახის კარები და შევედი. ვცდილობდი არ დამერღვია მოხუცის მყუდროება, არ მომეწყვიტა მისი გონება სათანადო ფიქრებისაგან, მაგრამ...

მაგრამ ღმერთი დასწყევლის ფიზიკის მომგონს და ჰაერის მოძრაობას! კარის გაღებისათანვე იგრძნო მოხუცის ფხიზელმა ბუნებამ არა ზომიერი, უკეთ ვსთქვათ უზომო მოძრაობა შინაგან-გარეგან ჰაერი-

სა და მოწყენილი სახიერება ინსტიქტიურათ მოიბრუნა კარებისაკენ.

კარებში კი მე ვიდექ ზომიერ გარეგან გამომეტყველებით, მაგრამ უზომო შინაგან მღელვარებით შეპყრობილი.

— მობრძანდით, მობრძანდით ბ-ნო! ზომიერის ალერსიანობით გამომეხმაურა იაკობი და თავისკენ მიმიწვია.

— უკაცრავად ბ-ნო იაკობ ვგონებ უდროო დროს გეახელით და ხელი შეგიშალეთ.

— არა. დაბძანდი. ქუჩიდან გეახელით.

— დიახ, ქუჩიდან გეახელით.

— მაშ გეცოდინებათ, სიცოცხლე გარეთ?

— რასა ბრძანებთ, ჯერ რა დროს სიცოცხლ!

— მაშ სიცხეა?

— ჰმ, ბ ნო, შემოდგომის დამლევს რაღა დროს სიცხეებია. სწორეთ ზომიერი სითბოა.

— ჩინებული! ქარია?

— ქარიც ისე ზომიერ თ უბერავს, არც ძლიერი ეთქმის, არც სულ უქარობა.

— ჩინებული, ჩინებული. მაშ შეიძლება ქუჩაში გასვლა?

— როგორ არა, ქვეყანა ქუჩაშია, თქვე დალოცვილო, ჯერ მხოლოდ ორიოდ სიტყვა მქონდა თქვენთან.

— რა გნებავთ?

— დედა ენის შესახებ....,

— „დედა-ენა“ სულ გაიყიდა. ახალი გამოცემა იქნება მალე და მაშინ იბოძეთ.

— არა ბ-ნო, მე სამშობლო ენის, ანუ ქართული ენის შესახებ მინდა მოგელაპარაკოთ.

— ჰოო! გემნაზიაში?

— არა, აქ.

— მერე?

— მერე ისა, რომ თქვენი ზომიერი პასუხისათვის ვგონებ უზომო უსიამოვნება მოგაყენესთ. არა?

— ჩვენში ყოველთვის წრეს უნდა გადასცდენ. უცნაური ცილი დამწამეს სწორეთ უცნაური.

— მე მგონია გაზეთებმა ვერ გიგეს თქვენი გამოსვლისა და მასთან ერთად თქვენი სიტყვების მნიშვნელობა.

— რასაკურველია, გადაეჭარბეს. მე იმას ვამბობდი: ქართველი ახალგაზრდანი, მოწყენილნი სამშობლო ენას, ლიტერატურას: გეოგრაფიას, ისტორიას, აწმყოს და წარსულს, კი არ რუსდებიან, როგორც ეს მთავრობას უნდა, არამედ ინტერნაციონალდებიან და ადვილად ხდებიან მიმდევრები იმ ფანტასტიური ინტერნაციონალური გეგმების და პლანებისა, ხდებიან იმათი მოწაფეები, ვისაც სურს აწინდელი კაცობრიობის მდგომარეობა ძირიან-ფესვიანად აღმოფხვრან, დაამხონ. მე წმინდა წყლის ევოლიუციონისტი ვარ და ესეც არ იყოს მე რუსეთში არა მწამს რევოლიუცია.

— უნდა გამოგიტყდეთ, რომ მე დიდი მომხრე ვარ ზომიერების. ზომიერება ყველგან საჭიროა. აი თვით ბუნებაშიაც, ზომიერების კანონი ყველგან ჩინებულათ არის დაცული. მოვიყვანოთ თუნდ ზურგი ჩვენის დედა-მიწისა. თქვენ კარგათ მოგეხსენებათ, რომ განათლებული ხალხი ზომიერ ზოლებში ცხოვრობს. აიღეთ გინდა წელიწადის დრონი. განა ყველას არა სჯობია გაზაფხული სიკეკლუცით და შემოდგომა სიმსუქნით? და ამ ხანებში ჰავა ყოვლის უზომიერესია. მაგრამ ამბობენ რევოლიუციას ხალხის გასანათლებლათ კი არ იხდენენ, არამედ პოლიტიკურ უფლებათა მოსაპოვებლათ. რომ შემდგომ რევოლიუციისა იმავე ხალხის საკეთილდღეოთ გამოიყენონ ეს უფლებებიო

— მერე? მერე განა ჩემი მათრახი რევოლიუციონერებისადმი იყო მოქნეული? არა! თუმცა მე არასოდეს არა ვყოფილვარ რევოლიუციონერი, მაგრამ დიდ პატივსა ვსცემდი ყველას, ვინც თავის იდეალებისათვის ეგრე თავგანწირვით იბრძვის.

— კარგი მაგრამ ეს მათი ბრძოლა თუ თქვენი შეხედულობის წინააღმდეგია და მოწყვეტილი სამშობლო გეოგრაფიას? როგორლა თანაუგრძნობთ?

— მაშინ? მაშინ სულ სხვაა, როცა ადამიანი ნაციონალურ ზომიერებას კარგავს, მას ეცლება ფეხქვეშ ჯანსაღი კონსერვატიული საფუძველი, იქ ღონეთება უნიადაგო ინტერნაციონალური ოცნებებით და ფეხებზე ჰკიდია, როგორც სახელმწიფო, აგრეთვე ზომიერებაც.

— ჰო და, თუ კი ეს ასეა, მაშ როგორ თანაუგძნობთ? მე პირ იქით ამ აზრისა ვარ, რომ დაგვღუპა ამ რევოლიუციამ. მთავრობის თვალში ნდობა დაგვკარგა და სხვა უბედურებასთან ერთად გიმნაზიებში ქართული გაკვეთილებიც შეგვიკორა. უწინ ვიყავით ჩვენთვის მშვიდობიანათ, თავისუფლათ! ჩვენს ენას და გეოგრაფიას არავითარი საფრთხე არ მოელოდა.

— ჰო და მეც ამას არ ვამბობ. უწინ ჩვენს საშვალო სკოლებში გვეზრდებოდა ზომიერებით აღსავსე ქართველი მოღვაწეები.

— ბ-ნო იაკობ მეც სულ იმას ვტიროდი: შვილებო გონს მოდით, გონს მოდით, სად გაგონილა შვილი მამას ეწინააღმდეგებოდეს, სად გაგონილა საყვარელ მთავრობას, რომელიც ამდენ მშვიდობიანს პროგრესისტსა და ზომიერ მოღვაწეს გვიზრდის, ძალით

შეებრძოლო და არა თხოვნა მუდარით, ან ზომიერი გაბუტვით დაიყოლიო თუ რამე კი დაგრჩენია კიდევ სანატრელი მეთქი.

— ჩინებულია! მე არცა მწამდა და არც ახლა მწამს რუსეთში რევოლიუცია. ასე რომ, ვინც ჩვენ ხალხს, საზოგადოებას და ინტელიგენციას ამით აიმედებს, ის მოღალატეა ხალხისა. ერთად ერთი ხსნა ჩვენი ხალხისა არის მეორე გიმნაზიაში 24 კვირეული ქართული გაკვეთილის დაარსება და ჩვენი დეპუტატების მიერ მიღებული ტაქტიკის შეცვლა სახ. დუმაში.

— ერთი სიტყვით თქვენის ბაგით თვით ჭეშმარიტება ლაპარაკობს. 24 გაკვეთილი მეორე გიმნაზიაში და მემარცხნე პარტიების შეერთება დუმაში! აი ჩვენი ქვეყნის მალამო. ეს ქართველ ხალხსაც და კოწია თუმანიშვილსაც შეურყევლად სწამთ, მაგრამ მარქსისა და კრაპოტკინის მიმდევრები აბრმავებენ ხალხს. ისინი ეუბნებიან: ვერც 24 ქართული გაკვეთილი და ვერც მესამე დუმა ვერაფერს გიშველისო. ხალხიც არ უფიქრდება საქმეს და ქე უჯერის მათ, რითაც რასაკვირველია სახელს იტეხს მამობრივი მთავრობის წინაშე. მაგრამ იციი რა მოგახსენოთ, ამბობენ მთავრობას ორჯერ გაურეკია დუმა ურჩობისათვისო.

— ჰო, დიახ. ,,ქართველ ხალხს სახელი უტყდება! ფადეევი ამბობდა „ქართველების სრული იმედი და ნდობა შეგვიძლია ვიქონიოთ, ვიდრე ისინი ქართველებათ დარჩებიან“ო. ახლა ვიღა გვენდობა? ჩვენი ქართველობა შერცხვა, მოგვეჭრა თავი.

— რა ჭკუიანი ყოფილააა! მთავრობას რაღა ღმერთი გაუწყრა, რომ ვერ მიხვდა ვის ამრავლებდა ამ გიმნაზიებში? მიკვირს ღმერთმანი; ასეთი მჭევრმეტყველური გაკვეთილით ჭკუა როგორ ვერ ისწავლეს?!

— მე მგონია ჩემი წერილი ძლიერ ჩააფიქრებს კავკასიის სამოსწავლო უწყებას—არა?

— განა ამას ლაპარაკი უნდა! ალბათ მაგ წერილს დუმაც განიხილავს. მე მგონია ამ ჟამად, ანუ ორშაბათიდანვე 24 გაკვეთილს დაუთმობენ ქართულ ენას და შემდეგისათვის სავსებით მიიღებენ თქვენს ზომიერ დარიგებას.

— სად გაგონილა ყმაწვილო ასეთი პოლიტიკა? მისცა ახალთაობას ანტინაციონალური მიმართულება, ამით ქართველობის გარუსება უნდოდა, მაგრამ წაუხდა ანგარიში. საქართველოს მოშორებით, მან რუსეთსაც ჩამოაშორა ისინი და შეაცურა საერთაშორისო ზღვაში, სადა მარქსი და კრაპოტკინი განისვენებენ.

— ეს ჭეშმარიტია, მაგრამ კრაპოტკინი ხომ რუსია და იმას ხომ რუსულათ ზრდიდენ? მაშ რა ჯანაბამ გააინტერნაციონალისტა?

— ვინ? კრაპოტკინი რუსი?

— დიახ რუსი.

— რამ გაარუსა, სურამელი ებრაელია! სურამელი თუ არ არის ცხინვალელი, ან კულაშელი მაინც იქნება.

— წარმოიდგინეთ მე რუსი მეგონა!

— არა ყმაწვილო, არ შეიძლება. ზომიერება ყოველივე საქმეში და ყოვლის უწინარეს არის საჭირო. ცხოვრება თანდათანობით მიდის წინ. „ჩათრევას ჩაყოლა სჯობია“ და ძალას თხოვნა.

— ეგ რასაკვირველია. ჩვენ უნდა მივსწრაფოდეთ..

— არა; ჩვენ კი არ უნდა მივისწრაფოდეთ, მისწრაფება არ არის ზომიერება. ბევრს შეიძლება გაეცინოს, მაგრამ ჩვენ უნდა მივჩოჩავდეთ, დიახ, მივჩოჩავდეთ.

— მე მინდოდა მეთქვა მივისწრაფოდეთ მშვიდობიან ორგანიულ რეფორმებისკენ მეთქი.

— არა, უნდა მივჩოჩავდეთ რეფორმებისაკენ და თუ რეფორმა გამოჩოჩდება ჩვენსკენ, ეს კიდევ უკეთესია.

— უზომოდ გმადლობთ ბ-ნო იაკობ, ამ სიამოვნებისა და პატივის ცემისათვის.

— ა კიდევ! ყმაწვილო დაიხსომეთ: ზომიერება, ზომიერება და ზომიერება. ჰო, კინაღამ დამავიწყდა, თქვენ ვინა ხართ?

— მე ეშმაკი გახლავართ.

იაკობმა ზომიერათ, მაგრამ არა მშვიდობიანათ ამხედ ჩამხედა. მე ვამჯობინე დროზე გავცლოდი არა სასურველსა და არა სასიამოვნო რეფორმებს ჩემი მდგომარეობის შესახებ.

ეშმაკი

*
* *

ოჰ, ის თვალები
შავი თვალები
დამწველნი. როგორც ნაკვერჩხალები!
მე იმათგან ვარ ფინთიხ ნაკრავი,
გულ დაკოდილი, განაწვალები...
სატრფოვ, გულისა
მჩენო წყლულისა,
საგანო ჩემი სიყვარულისა!
რატომ ხარ მკაცრი? არ გაგაჩნია
მცირედი გრძნობა სიყვარულისა.
მე, ვით ეული,
ლანდდათ ქცეული,

დავდივარ, ფიქრებ შემოსეული:
„ნუ თუ სიკვდილსაც კი დავავიწყდი?
ნუ თუ არ მოვა იგი წყეული“?!..
მოდი სიკვდილო,
შე უსირცხვილო,
ჩონჩხო ძვლებისა, უსისხლ-ურბილო!
თან მოიტანე ის შენი ცელი:
დამკარ, გამაქრე, არ მაცოდვილო...

—

სატრფოსა ჩემი არ ეყურება ..
სიკვდილი ჩემსკენა არ ეშურება ..
ოჰ, სანამ... სანამ უნდა გაგრძელდეს
ეგ ჩემი ტანჯვა . ბედის მდურება!..

ნ. ზომლეთელი

სხვა და სხვა დღიურებიდან

გრ. რობაქიძის დღიურიდან:

...„Ловцы момента“ ორომ იტყვიან, სწორეთ მე ვარ, ღმერთმანი: რა კაი დროს მოვატანე სამ შობლოს და! მეც „სანინ“-ის ბედი მეწვია... ამ ოთხი-ხუთი წლის წინათ კინწის კერით გამაგდებდნენ, ეხლაკი – იიფ. გეამოთ ყოველი სიკეთე! ჩვენისთანა გულ-კეთილი ხალხი არსად არ მოიპოვება: საკმარისია „პატრიოტობის“ ეგზამენი დაიკირო,— შენ ბედს ძაღლი არ დაჰყეფს: გენოსობის დანიშნულების „ორდენებს“ ტყაპა-ტყუპით მოგაყრიან! დიახ, არა ვნებავთ, რუსეთში ან საზღვარ-გარეთ მარტო მაგისთვის აგასკუპონ ოლიმპაზე! ე...ეხ, იქ, საუბედუროთ, შინა-ბარგის „პატენტსაც“ თხოულობენ... ნუ იხუ კუ ჭორტუ! ქალაქში ყმობას სოფელში ბატონობა მირჩევნიან .. სწორე რო გითხრა, ჩემო დღიურო, აქაც ჭავჭავაძის სიკვდილმა შემიწყო ხელი, თორე...ე...ე.. საწყალი სოციალ-დემოკრატები! კარგათ ვიცი, როგორც არი საქმე, მაგრამ, რა ვქნა,—борьба за существованіе—მა როგორ ამეღო არისტოკრატიასთან შესასვლელი პასპორტი? ენინა ივლიტეს „ეურ-ფიკსეს“ და „ვეჩერებს“ ცოტა გავლენა კი არა აქვს ახალგაზ-და ქართველის „კარიერაზე“! ერთი-ორი წელიწადიც და—სუპსიდია, სტიპენდია, ან თბილი ალაგი რომელიმე დაწესებულებაში უთოოთ გამეჩარხება!

ნამდვილ კალიოსტროთ მოვევლინე ჩვენ დიდ-კაცობას, ღმერთმანი! რაც უფრო გაუფრთხილ-ბარაკობ, მით უფრო ტკვინანი ვგონიავრ! საშინლათ ეგავს ჩვენი არისტოკრატია გოგოლის პეტრუშკას! რა მენაღვლება, თავში ქვაც ულიათ, ე მე კი თაფლში ვცურაობ და! ან მათსავით—„одѣть, раздѣть и вновь одѣть“... ლოგინშივე მომდის დასაპატიებელი ბარათები: დილით—ენინა ბაბალესთან „на чашку кофе“, საღილათ—„პრენს“ ლუარსბთან „ალა ხაში და არტალა“, საღამოთი – ენინა მაკონინესთან... ფისტაშკების ტაცაატკუცს ეურიდება: მეტაფიზიკა, პლატონ, ვეინინგერ ნიცშე, ენუტ გამსუნ, სკესი, „მე“ პანტეიზმ...ხა, ხა, ხა! იმ დღეს ენინა დანიშნულია „ეიილო, რომელ პლატონზე ამბობ, ჩემ მოურავზე ხო არა გაგიგონია რა, სწორე მითხარ, გეთაყვათ! ნახვამდის, ჩემო დღიურო... სარკესთან მივეშურები, „მანერები“ უნდა შევისწავლო ხვალ ლექცია მაქვს“.

კიტა აბაშიძის დღიურიდან:

...«ვაიმე სირცხვილო, თუ ჩემგან ნაქებმა ა. შანშიაშვილმაც. თავის «მაესტრო» გუნიასავით, პლაგიატობას მიჰყო ხელი! რა ვიცი, მისი უკანასკნელი პოემა «ოცნების მხარეს“ ძალიან კი წაა-გავს როსტანის „პრინცესა გრიზა“-ს და! კიდევ კარგი, თუ არავინ გაიგო.. ყმაწვილო, ყმაწვილო! ბელინსათ მომქონდა ჩემი თავი ნიჭების ალმოჩენაში და ე რა მიყავ. რა ფაფერაკს შემამთხვევ, თავი რათ მომჭერ?! ის მაინც როგორ ვერ დააფასე, რომ შარშან, აპოლლონის „კანტროლ“ ჩუმათ, „gorvoer“ აგაძვრინე პარნასზე?! . „დროების“ რედაქციას რაღა დაემართა: მართალია, დიდი ნაკითხი და ნასწავლი მათში არავინ ურევია, მაგრამ საფრანგეთის შესანიშნავ მწერალს, აკადემიკოსს და უკვდავებაზ („40 безсмертныхъ“) – ჩარიცხულ როსტანს, როგორღა ვერ იცნობენ, რა ღმერთი გაუწყრათ?!, წავიდე, მივწერო მაინც, რომ ცოტა ხნით შეაჩერონ პოემის ბეჭდვა და ბოლო მაინც გამოუცვალონ“...

დ-რ სტეფანოვის დღიურიდან:

...„Не имѣй 100 рублей, а имѣй сто друзей“ —რა სწორეთ არის ნათქვამი და! იმდენ კონკურენტ პროფესორ-ექიმებში —(ხუმრობა ხო არ არი: მთელი რუსეთი მოსძრეს!)—მაინც სულ შინაურები დაგვნიშნეს არამიანცის „ბალნიცაში“! თუმცა მაშინვე კი გვანუგეშეს—„ოვალის ასახვევთ, განგებ „კონკურსს“ დაგნიშნავთ, მაგრამ ნუ გეშინიანთ: მეჩნიკოვმაც რო გამოგზავნოს „პროშენია“, მაინც თქვენ არ გამოგწირავთ მაკ ადგილებსაო“... ვენაცვალე მეგობრებსა! ისიც რა „ლოგკათ“ მოახერ-

ხეს და!—,,პრილიჩიისთვის'' დროებით დაგნიშნავთ, მაგრამ იქნები და იქნები, მათუსალას ხნამდინაც რო იცხოვრო! მეგობრები მაგისთანა უნდა, მაშ! ,,რეკლამაც'' გაგვიკეთეს! რაც უნდა იყვეს, ყველა იფიქრებს: ,,დახე, რა ექიმები ყოფილან, პროფესსორებსაც კი აჯობესო''! .. საწყალი კონკურენტები! ცოტა არ იყვეს, მასხარათ კი აიგდეს...—საიდან სად ,,პროშენიებს'' და სამეცნიერო ნაშრომმები გამოაგზავნინეს და--პუპლუს! კიდევ კარგი, რო ჟურნალისტებმა ყურადღება არ მიაქციეს ამ კომედიას... მაგრამ რა იქნებოდა? ძმა- ,,გლასნები'' ცოცხლები გვყავდნენ, თორე იმათ რაც უნდა არახუნონ გაზეთებში! რეაქციას ვწიროთო მადლი, თორე, დიახ, ,,ეს-დეკებიც'' არ გვაპარპაშებდნენ ესე!''

შოლტი.

* * *

მე გულის სიღრმე გადაგიშალე,
სევდის უსტარი წინ დაგიფინე...
შენ კი, ღვთაებავ, რათ გაიცინე?
გულის სიმები ავაწკრიალე,
წმინდათა წმინდა ავალაღადე,
უჩინარ გრძნობას ფარდა ავხადე...
პირველათ თითქო შემიბრალეო,
თავი ჩაკიდე და მოიწყინე...
მერმე კი უცებ რათ გაიცინე?
რათ მიეც გრძნობა, გრძნობა გულწრფელი
უგულო სიცილს შორს გასაფანტათ?
რისთვის დაცინე შენს მსახველს ხატათ?..
მე გულის სიღრმე გადაგიშალე,
გრძნობის უსტარი წინ დაგიფინე...
შენ კი, ღვთაებავ, რათ გაიცინე?

ვ. მალაქიაშვილი.

გაცრუებული იმედი!

ღამის 11 საათზე, საეპარქიო სკოლების მეთვალყურე, თედორე ჟორდანია მოწყენილი იჯდა თავის სამწერლო სტოლთან და ხანდისხან, ჩუმ-ჩუმათ პატარა ჯიბის სარკეში იჭვრიტებოდა.

აგერ წელიწადზე მეტია, მას წვერებისათვის მაკრატლის პირი არ მიუკარებია და სახე თითქმის სრულიად გამოეცვალა.

— არა, რით არა ვგევარ ეპისკოპოზს თუ ღმერთი გწამთ, ა? ერთი შეხედოს კაცმა ამ წვერებს, ამ ულვაშებს!

მან სიამოვნებით ჩაუსვა მარჯვენა ხელი გულზე სქლად დაყრილ წვერებს და კვალად გაუჭვრიტა წითელ ტყავიან პატარა სარკეს.

— ყველაფერს შნო უნდა, არქიელსაც თავისი შეხედულობა სჭირია, მარტო კურთხევა ბევრს არაფერს ნიშნავს. ნეტავ ვიცოდე როგორ დამშვენდება ბრწყინვალე სამოსელი, მოჭედილი ლიტრა და სამკაულები! ნეტავ ვიცოდე, ნეტავ ერთხელ მაინც მესინჯა ჩუმათ. ვინ იცის იქნებ სულაც არ მომიდგეს? იქნებ ისეთი გამოვჩნდე, როგორც უბრალო მღვდელი, უშნო და ულაზათო! არა, მე უთუოდ უნდა ვსინჯო, უთუოდ უნდა ვსინჯო.

ის ფეხ აკრეფით შევიდა საწოლ ოთახში, გულდასმით ამოარჩია ყველაზე უფრო ლამაზი, და ჭრელი საბანი და ისევე წყნარათ გამოვიდა.

— უთუოდ უნდა ვსინჯო; ვნახავ მაინც როგორი ვიქნები. თუ უკეთესი არა, ამაზედ ვარესი ხომ აღარ გამოვალ? უთუოდ უნდა გავსინჯო, უთუოდ.

მან სწრაფათ მოიხურა ზურგზე ჭრელი საბანი, ინგლისური ქინძისთავით ორ სამ ალაგას დაიბნია და ქანდაკებასავით გაჩერდა ოთახის შუაგულში.

— თავის სამკაული?

გაიფიქრა მან და გაფაციცებით დაუწყო ძებნა ცოტათ თუ ბევრად ამ დანიშნულებისათვის სავარგის საგანს. დასასრულ არჩევანი სამწერლო სტოლის ქვეშ შედგმულ თეთრი მავთულით მოქსოვილ მრგვალ კალათზე მიდგა.

— ეს ჩინებულია!

ჩაილაპარაკა „საქმეში" გართულმა მეთვალყურემ და სტოლის ქვეშეთგან კალათი გამოიღო. სულ ცოტა მოწევა დასჭირდა კალათის პირსა, რომ საეპარქიო მეთვალყურის თავს საუცხოვოდ მორგებოდა.

— ჩინებულია, ჩინებული, ჩაილაპარაკა მან და ხანგრძლივათ ჩააცქერდა პატარა სარკეს.

პატარა ხნის შემდეგ თედორემ რიხიანათ ჩამოუარა სკამებს, გადასახა ჯვარი, მარჯვენა ხელის ზურგი შეახო და ღაღად ჰყო:

— გაკურთხოს შვილო ღმერთმა, ალავერდის

ქორ-ეპისკოპოზი თეოდორე მარადის შენთვის მლოცველი იქნება, გაკურთხოს შვილო, გაკურთხოს!

„ეფისკოპოზი'' ძლიერ გაიტაცა ამ უმანკო გასართობმა. ის ხან ერთ სკამს მიადგებოდა, ხან მეორეს; ხან შვა ალაგას დადგებოდა და ორივ ხელ-აპყრობილი გაშტერებით შეჰყურებდა ჭერში გამოკიდულ ლამპაზე შეხიზნულ ბუზთა ლეგიონებს.

— ბენსია ბენსიად, ტახტი ტახტად! კურთხეულ არს მომავალი სახელითა უფლისათა, ღმერთი უფალი და გამოგვიჩნდა ჩვენ...

ამ დროს, სახლის აივანზე ლოდინით მობეზრებულმა, სასულიერო უწყების საქმეთა დამტარებელმა მოკრძალებით შეაღო კარები და ხესავით გაშშდა.

— მოდი შვილო, მოდი! გაკურთხოს უფალმა საღმრთოთია მადლითა თვისითა. ემთხვიე შვილო, ემთხვიე.

შეშინებულმა დამტარებელმა აღარ იცოდა რა ექნა. ერთი იყო გაუკროლა აზრმა: ბატონის საქმე გლახათ უნდა იყოსო'', მაგრამ ბოლოს მაინც დაემორჩილა თავისს ხვედრს და გაშვერილ მარჯვენა ხელს მოწიწებაი ეამბორა.

,,ეფისკოპოზი'' გამოერკვა! მან საჩქაროდ მოიძრო ძვირფასი ,,სამოსელი'' მოიხადა საუცხოვო ,,ლიტრა'' და დარცხვენილის კილოთი იკითხა ასე გვიანი სტუმრობის მიზეზი.

— ეს ქალალდი გახლავთ ბ-ნო. მიუგო დამტარებელმა; და გადასცა ფართო კონვერტი.

თეოდორემ სწრაფათ გახსნა ამანათი. გაშალა ორათ მოკეცილი ქალალდი და კარგა ხანს ფერ მიხდილი ჩასცქეროდა შიგ.

— მაშ ეგ არის თქვენი პასუხი?

ნაღვლიანის კილოთი წარმოსთქვა მან და მარცხენა ხელის იდაყვს დაებჯინა, მწარე ფიქრებში წასული. უწმინდესი სინოდიდან უარი უთხრეს პენსიის დანიშვნაზე თუ ალავერდის ეფისკოპოზობას ისურვებდა. ის მართლაც საგონებელში ჩავარდა.

— მშვიდობით წვერებო! მშვიდობით ჩემო იმედებო!

თეოდორემ მთელი ღამე მწარე ფიქრებში გაატარა და მეორე დღეს აჩქარებული ნაბიჯით გაემართა ნაცნობ პარიკმახერისაკენ.

„მასკა"



მესტვირული.

(ნიგოთისათვის)

მინდა ვახსენო ეშმაკი
ხელში ავიღო სტვირიო,
და გლეხებს მოუღიღინო:
მე მათი გასაპირიო
გაქრა წავიდა არა გვყავს
სიმართლის მთქმელი პირიო,
გამეფდა: შური და მტრობა
ძარცვა შეგვექნა ხშირიო.
უკან წაიღეს სულ ყველა
ერთობის განაპირიო,
თუ ვინმემ რამე გაბედა
დედა ყავს ანატირიო.
დღე, დღე გვიჭერენ მუხრუჭსა
მიწა გახადეს ძვირიო
(გატყდა გლეხობის სიმტკიცე
ერთობის გატყდა პირიო).
უნდა ვახსენოთ ჩიჩუა
გიორგი, პანკის გმირიო,
მემათრახენი ამ კნიაზს
ყავს მეტის მეტად ხშირიო.
მიწის ზედ მეტად მზომელი,
აგრეთვე ცხენის ჭირიო
კოტრნი და ხმელნი თავადნი
ვითარცა წინდის ჩხირიო.
ბლოამდ ჩაჯიბეს ქანქარი
ჩვენს ზურგზე ანახადიო.
გვიმტყუნა მოსავალმაცა
სიმშილი გველის ცხადიო

გლეხი.

ბალკანეთში.

სერბიისა და ავსტრიის საომარ ფეხზე დადგომის შემდეგ ბალკანეთის სამეფოები თითქო მიწყნარდენ. იმათი ცხოვრება, ჩვენთვის რასაკვირველია უფრო ახლობელმა, სპარსეთ ოსმალეთის ამბებმა ჩაჩრდილეს. დღეს კვალად გამოცოცხლდა ინტერესი ბალკანეთის ცხოვრებისადმი.

უპირველეს ყოვლისა ყურადღების ღირსია საბერძნეთში დაწყებული მოძრაობა. კარგა ხანია კუნძულ კრიტოსის შესახებ საბერძნეთში უკმაყოფილება სუფევს. კრიტოსის შეერთება საბერძნეთის საოცნებო საკითხს შეადგენს, მაგრამ ამ სურვილის სისრულეში მოყვანა შესაძლებელია მხოლოდ იარაღის ძალით. კრიტოსი დღეს-დღეობით ოსმალეთის საბრძანებელს შეადგენს და საბერძნეთიც მას უნდა შეებრძოლოს. ამ წინაზე. როგორც გემახსოვრებათ ბევრს ლაპარაკობდენ და სწერდენ მოსალოდნელ შეტაკების შესახებ, მაგრამ თანაც წინასწარმეტყველობდენ საბერძნეთის უცილო დამარცხებას. საბედნიეროთ საქმე ომამდე არ მივიდა, მაგრამ საბერძნეთში თავი იჩინა სამხედრო პირთა შეთქმულო-



დრამატიული სცენა სამტრედიის სადგურზე.

ბამ. ოფიცერთა წრეებმა დაარსეს ეგრეთ წოდებული საჰზედრო კავშირი და ლაგამი ასდვეს, როგორც სამეფო გვარეულობას, აგრეთვე პარლამენტსაც.

სამხედრო კავშირის დიქტატურას მოჰყვა ტიპალდოსის აჯანყება, რომელიც მისი დამარცხებით გათავდა. დღეს დღეობით ხმა დადის მეფე გეორგის გადადგომის შესახებ. ამბობენ აგრეთვე საპერძნეთის შინაურ საქმეებში უცხო სახელმწიფონი ჩაერევიანო.

ბალკანეთის ნახევარ კუნძულზედვე სძევს პატარა, რუმინიის სამეფო. მისი არსებობის შესახებ ქართველი მკითხველის ყურამდე ძნელათ მიაწევს ხოლმე რაიმე ცნობა. ამ ჟამად რუმინიაშიაც მოძრაობა დაიწყო გაფიცვებისა და დემონსტრაციების სახით. მიზეზი მოძრაობისა ადგილობრივი სოციალ-დემოკრატის დევნაა რუმინიის მთავრობა ს დ. მოღვაწეებს დაუზოგველათ (რეკება სახელმწიფო საზღვრებიდან. გონიერ მთავრობას ამით თავისი სამფლობელოს დაწყნარება სურს ალბათ, მაგრამ თუ რას მოიმკის ამას ახლო მომავალი დაგვანახებს. ჯერ-ჯერობით რამდენიმე ალაგას მოუხდათ შეტაკება მუშათა ჯგუფებს და ჟანდარმებს.

თუ გაზეთებს დაუჯერებთ, არც სერბია ჩერნოგორიის საქმეა კარგათ. ეს სახელმწიფონი შარშან შეერთებულის ძალით აპირებდენ ავსტრიასთან შებრძოლებას და ვაჟკაცურად ემზადებოდენ ძლიერი მტრის საპირდაპიროდ. დღეს მათ შორის თითქო შავს კატას გაუბრწინია, და მტრული განწყობილება დამყარებულა. ამბობენ ეს ხმები ყოველგვარ სიმართლეს მოკლებულია და ავსტრიის ინტრიგას წარმოადგენსაო.

ამგვარათ ბალკანეთის ცხოვრება კიდევ ინტერესით აღივსო. და თავისკენ იპყრობს ქვეყნის ყურადღებას.

შარადა.

ძნელია განა მოვნახოთ
კაცი უწვერო, ხნიერი?
(არც კრეჭა უნდა, არც პარსვა,
ქეიფობს სვებედნიერი!!..)
ქართულათ, არსსა ამგვარსა
საგანგებო აქ სახელი
და ვერ ვირწმუნებ, ერთხელაც
არ იყოთ მისი მნახველი,
მაშ თუ ეგრეა, მოსჭერით
მას ნახევარი პირველი,
(რადგან ეს, შარადისათვის

მსხვერპლია შესაწირველი!)
მაგრამ ნაწილი მეორე
შემოინახეთ მთელათა.
(დრო მოვა, გამოგვადგება
სხვა სიტყვის მისაბმელათა!)
ამ ჟამად, მეგლთა კრებულსა
უნდა მოვწყვიტოთ კუდები.
(ვინც გამოცდილი არა ხარ
ხომ შიშით გამეგუდები?)
ტანი დაგვრჩება მარტოკა
კუდის რიკ ჩამონაჭარი,
(არ გიშლით, ვუდი გაყიდეთ
თუ კი გამოჩნდეს ვაჭარი)
ტანს უნდა წამოემატოს
ხელსაწყო, დურგლის სახმარი,
(«სულ თავისაკენ ითლისო»)
ანდაზაშია ნახმარი.)
და რაკი მუდამ სხვას ჰიკნის,
ახლა ჩვენც აღარ ვაცალოთ:
დავკრათ და ასო პირველი
პირწმინდათ ჩამოვაცალოთ.
მის ნაცვლად, იგი აჯობებს
სხვა სიტყვა მოვინახულოთ.
აი თუნდ, როცა „ზაკაზებს“
არ ღებულობენ უფულოდ,
როცა მოგთხოვენ წინ და წინ
ღირებულობის ნაწილსა.
(ღმერთმანი განგებ გიგროვებთ
სიტყვებს ამ რიგად ადვილსა!)
დაბოლოს ნოტი მონახეთ...
(შეექვსედ დასამღერები!)
ამით შარადაც გათავდა
«ქუდს მიახალეთ ჰერები».
ახლა დასკვნაა საჭირო ..
მაგრამ რა დასკვნა სჭირია?!?
იქით და აქეთ მოძი სდგას,
შუაზე გამსტვენი ძირია,
ზედ წვრილი თოკი იციან,
(ჟულფი აქვს მოსაჭირია)
თუ მიგიყვანეს იქამდე,
წამოსვლა აღარ გჭირია.
უწინ ძვირ-ძვირათ ვხედავდით,
დღეს იაფი და ხშირია,
ვინ სთქვას რამდენი ჭაბუკი
მას მსხვერპლათ შეუწირია,
რამდენი დედა მშობელი
შვილებზე აუტირია?
იმას რო ცოდვა მიუძღვის
ვერ მოსთვლის კაცის პირია!...

მწარე ხმით გმინავს ქვეყანა:
„მოხსენთ, აღარა გვჭირდა,“
ობოლი ცრემლის ზღვა უდგა
არ უჩანს კიდე, ძირია,
მაგრამ ხომ იცით ანდაზა:
„სხვათ დარდი,—ღობეს ჩხირია“
უძლურებს რო არ უსმინონ
განა რა გასიკვირია?
შენ კი, ძვირფასო მკითხველო,
არ მათქმევინო ძვირია:
თუ ვერ გაიგო, იცოდე
კარგი „გალსტუკი“ გჭირია.

კოლო.

დეპეშები.

(საქართველოს სააგენტო)

ოზურგეთი. დიმ. ნაკაშიძეს დღეს აღარავინ გაულახავს. გორგასლიძე კი ცოტა კარგაა.

ნაბეღლავი. აქ ამოიარეს ბახმაროში მიმავალმა მოჰაერებმა. მშვენიერი გზები და ამინდებია.

სურამი. მემამულეებმა ღალები ასწიეს დაზარალებულ სურამელ ებრაელთა „სასარგებლოთ.“

ქუთაი ი. ადგილობრივი კლასიკური გიმნაზიის უფროსი კლასები ექსკურსიად მიდიან ადგილობრივ ქალთა გემნაზიაში.

იქიდან ვე. ცნობილმა ბარკალაიამ თავისი მოვალეობა ზ. ტუზუბაიას გადასცა.

ბაღდადი. დელეჟანსები ერთმანეთს დაეჯახენ მოხდა შეტაკება. სტრაჟ. ფილიპემ „წესიერება აღადგინა.“

ქუთაი ი. როგორც იქნა ელირსა ჩვენს არტისტებს ტანისამოსის გამოცვლა და თფილი საქმელი. ამას სულ დრამატიულ საზოგადოებას უნდა უმადლოდეთ.

სასურველი ნაყოფი.

ყოველი ადამიანი ცდილობს, თავისი მოღვაწეობა ნაყოფიერ ჰქმნას, რასაც დასთესს ერთი ორად მოიმკოს და ამ სახით გაამართლოს ნ. ბარათაშვილის თქმულება:

„არც კაცი ვარგა, თუ ცოცხალი
მკვდარსა ემსგავსოს,
იყოს სოფელში და სოფელს კი
არა რა არგოს.“

ჩვენის აზრით ადამიანი მხოლოდ მაშინ განი-

ცდის უაღრეს სიამოვნებას, როდესაც თავისი შრომის კეთილ ნაყოფს იგემებს.

როგორც გვსმენია ოზურგეთის სამოქალაქო სასწავლებლის ინსპექტორი აღზრდის საქმეში თავგამოდებით იცავდა პრინციპს „моментальнаго сотрясенія." ანუ უკეთ ვსთქვათ „უცაბედი შენძღრევის" პრინციპს. ეს სულ უბრალო რამეა: ვსთქვათ ბავშვი ვერ სწავლობს ან ეშმაკობს. („ეშმაკობა" ქრისტიანული კანონით ძლიერ ისჯება!) აღმზრდელი მიდის მასთან და სრულიად მოულოდნელათ კარგს სილას აწნავს ყბაში, ან ყურის ბიბილოთა საშვალებით დაკიდულ მდებარეობას აძლევს. ეს პრინციპი ჯერ კიდევ დობროლიუბოვის დროს იყო ხმარებაში და რომ ის რაციონალური რამეა, ეს მისი ასეთი გამძლეობითაც აიხსნება

ეს ასეა, მაგრამ ბევრს არ ეწევა ხოლმე ისეთი ბედნიერება, თავისი მოღვაწეობის ნაყოფიერებით დატკბობისა, როგორც ეს გორგასლიძემ განიცადა. გაზ. „მომავლის" სიტყვით 26 ოქტომბერს ქალაქის მოედანზე შეხვედრილან ბ-ნი ინსპექტორი და ერთი ადგილობრივი კნიაზი დიმ. ნაკაშიძე. ისტორიულის მემკვიდრეობითა აქვს კნიაზობას თანდაყოლილი უაღრესი მისწრაფება ზემო აღნიშნული პრინციპისადმი. ამიტომაც რა გასაკვირია თუ დიმ. ნაკაშიძემ მალე და უკეთაც შეითვისა გორგასლიძის ხელობა? ხომ გაგიგონიათ: ის „ურჩევნია მამულსა, რომ შვილი სჯობდეს მამასაო." მცირე ლაპარაკის შემდეგ მათ შეტაკება მოსვლიათ და დიმ. ნაკაშიძეს თითქმის ყოველი მოლოდინისათვის გადაუქარბებია.

ამბობენ ძალზე ნაცემი ინსპექტორი უკიდურესათ მადლიერია თავის ბედისა და ადიდებს ზენას, რომ ამდენი ხნის შრომამ უნაყოფოთ არ ჩაუარაო.

„მასკა"

ლევანი სწორება!

გაცხარებულა ლევანი
მათრახი მეტად სწყენია,
თუმც მოვახვედრე სახსარში
ჩვეულსა არა სტკენია.
ბრძანებს: სადილსა ქრთამისას
თუ ვსჭამთო ნება ჩვენია,
ჩემს გულის ფარულ განზრახვას
ვერ იგრძნობს კაცი ბრძენია.
ვერავინ ვერას დაგვაკლებს
თუ—კი გყავს უსტა ალალო,
გაუძლიერე კალამი
მექანქრეთ ღმერთო მაღალო,
ტვინში მიეცი შეძლება
მუზა მას არ დაუღალო,
ნუ განშორდები გენიოსს
აზრებო ახალ-ახალო.
იგია ჩვენსა მტრებთანა
მებრძოლი მეომარია,
თვით ის მოუღებს ბოლოსა
ვინც კი ეს ბანკი არია.
პატარა მტაცი განდევნა
დიდებს კი ხელი დარია,
მაინც გაუწევს ბრძოლასა
თუმცა მათრახი მწარია.
თუ ვერას გახდა ესეცა
მაშინ მუშტაძე მიხაო,
ერთხელ შემოჰკრა მუშასა
ნორჩი წნორივით გრიხაო.
მას ჩავაბაროთ ესეცა
დაზილოს როგორც თიხაო
თუ ესეც ვერას გახდება,
მოვნახოთ ქაჩალ კრიხაო.
ჩვენი ბატონი გიორგი
ძალიან მჭევრ-მეტყველია
უაზრო სიტყვა პასუხს ლექს
როგორც პური და ყველია.
ბევრი უშვერი ლანძღვითა
ამოშრობია ყელია,
ხასიათებით რომა ვსთქვათ
გახლავთ ნამდვილი მელია:
ეს მიუსიოთ საომრათ
ავაზაკების მტერსაო
ის მოუხერხებს მას საქმეს
იმ მექრთამების მჭერსაო,
გალანძღავს უშვერ სიტყვებით
ზურგზე აადენს მტვერსაო
ენას ჩაუგდებს მუცელში
ვფიცავ სიმონის წვერსაო.
არ ვიცი რაღას ელიან
რა ჰქმნეს პასუხის გებანი
მაშინ კი ვამცნო ქვეყანას
მათი გმირული ქებანი,
ყველას გავაკრა მათრახი
მოვგვაროთ ცეცხლის დებანი
მხოლოდ მას ძალუძს გაჰკურნოს;
მისგან მიიღონ შვებანი.

ა. განჯის-კარელი.

დეტეშები

(რუსეთის საგენტო)

ადესა. გუშინ მთელი პოლიციელი ფეხზე და დგა. არ იცოდენ მიზეზი რა იყო. გამოირკვა, რომ მაგომედ-ალი ვაპარულიყო თავის სასახლიდან. რის ვაი-ვაგლახით იპოვნეს გადაცმული. თან ორი რევოლვერი აღმოაჩნდა. ის თურმე არდებილში წასვლას აპირებდა.

პეტერბურგი ზომიერ მემარჯვნეებმა დუმაში შეკითხვა შეიტანეს განათლების მინისტრის სახელმბაზე: „მოეხსენება თუ არა მათ ბრწყინვალებას, რომ მეოთხე გენიზაზიაში ქართულ ენას ავიწროებენ და ამის გამო მარქსის მიმდევარნი მრავლდებიანო.“

იქიდანვე. ყოველად სამღვდელო ევლოგი მარტო აპირებს შეკითხვის შეტანას დუმაში უწმინდესი სინოდის სახელმბაზე: „მოეხსენება თუ არა უწმინდეს სინოდს, რომ თფილისის ქალაქის ამგეობა ტალახში ამოხრჩობას უპირებს სამღვდელო განმზადილ ახალგაზრდობას და წყნეთის ხიდიდან სვინარამდე გზის კეთებას არ აპირებსო“,

იქიდანვე. ჩელიშევიც აპირებს დუმაში შეკითხვის შეტანას, განათლების მინისტრის სახელმბაზე: „მოეხსენება თუ არა მინისტრს საერო განათლებისას, რომ ქ. თფილისში წყნეთის ხიდს გადმა, სადაც დღე და ღამეში ათასი მთვრალი ქრისტიანი გაივლის ერთი ფანარიც არა სდგას და თუ მოეხსენება რა ზომების მიღებას აპირებსო.“

ჩელიშევს აუხსნეს, რომ განათლების მინისტრს სულაც არ ეხება ფარნების საქმეო, მაგრამ ვერაფერი შეასმინეს.

„ტრამვაი“

ბატონებო და ქალბატონებო!

თაობიდანვე ბოდიშს ვიხდი, რომ შეიძლება ჩემი ლექცია ვერ დარჩეს ისეთი ყურთა წამტაცი და მომხიბვლელი. ისეთი ტკბილ-ხმოვანი და დამათრობელი, რომელზედაც მიჩვეული ყეფხართ განსახიერებულ ლექტორებს გ. რობაქიძეს, მაგრამ იმედი მაქვს მაპატიეთ, მე მსურს მოგახსენოთ ორიოდ სიტყვა თფილისის ტრამვაის შესახებ და როგორც აღნიშნული საქმის მცოდნეს იმედი მაქვს სრულის ნდობით მომეპყრობით.

მაშ დავიწყოთ!

ბ-ნებო და ქ-ნებო! თქვენ ალბათ მოგეხსენებათ თუ რა დიდი, რა დაუფასებელი მნიშვნელობა აქვს ქალაქისთვის ელექტრონის ტრამვაის. თქვენ კარგათ მოგეხსენებათ აგრეთვე ისიც, თუ რამდენ ფულსა ხარჯავს ამ საქმის მოწესრიგებაზე ჩვენი სამშობლო ბელგია. ზოგიერთნი (მატერიალისტნი,) ფიქრობენ, თითქო ჩვენ უზომო ენერგიასა და აუარებელ თანხას საკუთარ სარგებლობისთვის ვხარჯავდეთ და არა თქვენის კეთილდღეობისათვის. ამ შეუგნებელთა აზრით, ჩვენ აქ თითქო სავაჭროთ მოსულიყოთ და არა კეთილი კაცთ-მოყვარული გრძნობებით გამსჭვალულნი, რომ დავეხმაროთ კაცობრობის აღორძინებას. მათი აზრით ჩვენ ჩარჩები ვართ, ჩვ ნ ერთგვარი მღლეტელნი ვართ, რომელნაც ამ ოსტატურათ გამბეღლი რკინის ქსელებით უხვად ვიჭერთ შაურიანებს და ბელგიისაკენ ვაგზავნით.

დეე ილაპარაკონ! უფალი შეუნდობს მათ, რამეთუ არა იციან რასა იქმოდიან! ჩვენთვის, ბ-ნებო და ქ-ნებო, ისიც კმარა, რომ მაღალ გონიერი გამგეობა თფილის ქალაქისა, არ იზიარეს ამ შეხედულებას. ეს გარემოება საბუთს გვაძლევს იმედი ვიქონიოთ, რომ მათ მაგალითს მთელი თფილისი წაბაძავს და ამით საზოგადოება ერთი ნაბიჯით წინ წაიწევს.

მე, როგორც ბელგიელი, ვალდებული ვარ ჩემი ქველ-მოქმედი სამშობლოს სახელი დავიცვა. მე უნდა დავანახო საზოგადოებას თუ რა შეუძლია შეჰქმნას ბელგიამ უცხო ხალხთა საკეთილდღეოთ. იმ შავ-ბნელ დღეებში, როცა ქალაქი თფილისიც წაბაძულობით ჩაება რუსეთის ეგრეთ წოდებულ განმანთავისუფლებელ მოძრაობაში, ჩემმა წინაპრებმა დაარღვიეს ბელგიელთა სამართლიანობა და ის ფულები, რომელიც მთელი ქალაქის მცხოვრებთა საარგებლოთ უნდა წასულიყო, მარტო მუშებს ჩაუგდეს ხელში. დღეს მე უკვე წავიღე ეს ძველი ხელწერილი და აღვადგინე სამართლიანობა. თუ ჯანმრთელობამ არ მისუსტა, ან თვით ბელგიაში არ დავრჩი საპირო, მე ვეცდები ტრამვაის საქმე ისე მოვაწყო, როგორც არსად სხვაგან. მაგალითისთვის მოვიყვან რამოდენიმე მაგალითს ჩემ მიერ განზრახული რეფორმებისას, აქვე აღვნიშნავ რომ მეც მომხრე ვარ: „ჯერ დამშვიდებისა და შემდეგ რეფორმებისა.“

1) უწინარეს ყოვლისა ბ-ნებო და ქ-ნებო, განზრახვა მაქვს დავადგინო ნომრები დიდი რაოდენობისა იყოს და მიკრულ იქმნეს ქუდზე. მას ერთობ დიდი მნიშვნელობა აქვს წესიერი მოძრაობისათვის.

2) შემდგომად ამისა სასტიკი განკარგულება გავეცი „სვისტოკი“ წმინდა ჯაქვით დაიკიდონ გუ-

ლზე, მაგრამ არას შემთხვევაში მარცხნივ, რადგან ამგვარათ ის შორს იქნება მარჯვენა ხელიდან.

3) ქუდს, როგორც საზაფხულოს, აგრეთვე საზამთროს არ უნდა ქონდეს ვერშოკზე მეტი კაზა, როკი, რომ იმისმა სივრცემ არ დაუშალოს მოსმასახურეს შორს მჭვრეტელობა.

4) შემოვიღე ბილეთების სახეგრეტი მანქანა, რა

ახალი ამბები.

შესანიშნავი წარმოდგენა. გაზეთ ,,დროება''-ში სასიამოვნო ამბავს ვკითხულობთ. ქართულ სიტყვა-კაზმულ მწერალთა საზოგადოებას განუზრახავს ამავე საზოგადოების სასარგებლოთ გამართოს ,,კაზმული'' წარმოდგენა. ითამაშებენ ,,ლალატს'', როლები ასეა განაწილებული

სოლეიმან ხანი . .	ბ-ნი პართენ გოთუა.
ოთარ ბეგი . . .	ბ-ნი გიორგი ამირაჯიბი.
ყარა იუსუფი . . .	ბ-ნი სიმონ ყიფიანი.
ალ რაზაკი . . .	ბ-ნი გრ. რობაქიძე.
ანანია გლახა . . .	ბ-ნი სამს. ფირცხალავა
ბესო	ბ-ნი ეშმაკი.
დათო	ბ-ნი მიხეილ ლობჟანიძე
ერეკლე	ბ-ნი კონ თუმანიშვილი.
საბა ბერი . . .	ბ-ნი გიორგი გვაზავა.
დედ. ზეინაბი . . .	ქ-ნი ნინო ყიფიანისა
რუქაია	ქ-ნი ნინო ნაკაშიძისა
ისახარი	ქ-ნი მარიამ დემურია
მაიკო	ქ-ნი ან. წერეთლისა.

ყოველივე ეჭვს გარეშეა წარმოდგენა მრავალთიუმრავლეს ხალხს მიიზიდავს და თუ, ზოგიერთ ჩვენებურ ,,ქველმოქმედებსავით'', თითომ ათ-ათი თუმანი არ მოითხოვა, ,,სიტყვა კაზმული'' მწერალთა საზოგადოება ოქროს გორებს დაიდგამს.

უკანასკნელი ცდა. სარწმუნო წყაროებიდან გავიგეთ, რომ ცნობილ რედაქტორს, პ. გოთუას, ეს უკანასკნელად აუღია სალიტერატურო და საპოლიტიკო გაზეთის ნებართვა. თუ ვინიცობაა ეს ,,ახალი სიტყვაც'' ძველ სიტყვებსავით უსარგებლო და უნაყოფო გამოდგა, პ. გოთუა სრულიად განშორდება პოლიტიკას და გამოსცემს ქართულ ენაზე ,,საქორწინო გაზეთს''. ამ საქმეში მას დიდს დახმარებას პირდება ცნობილი ,,ცეცხლის'' მოხელე მიხეილ გაჩეჩილაძე.

ცოცხალი ოქტომბრისტი ის რაც რუსეთში კიტრის ფასად ყრია, ჩვენში სანთლით საძებარი შეიქნა. აგერ ოთხი წელიწადი გამრგვალდა 17 ოქტომბრის მანიფესტის მოვლენიდან, მაგრამ ცოცხალი ოქტომბრისტი ჯერაც არ გვენახა. მხოლოდ ერობის საკითხმა გააბედნიერა თფილისელი საზოგადოება და არ ჩაიყვანა საფლავში ამ პარტიული საკვირველების უნახავათ. პირველ ნოემბერს ერობის შესახებ მოლაპარაკე ლექტორთა შორის ერია ბ-ნი მილიუტინიც. და აი ეს მილიუტინი გახლდათ ცოცხალი ოქტომბრისტი. სამი პირველი ლექტორების მიერ თავ-მობეზრებულ დამსწრეთ ძლიერ მიეჩქარებოდათ შინისკენ მაგრამ ერთმანეთს ამით აჩერებდენ:

— კაცო, რაკი ამდენი ხანი მოვითმინეთ, ცოტა კიდევ დავრჩეთ და ვნახოთ ბარემ ერთი ცოცხალი ოქტომბრისტიო.

მართლაც საკმარისი იყო ბ-ნი მილიუტინის გამოჩენა, რომ დაკმაყოფილებული ხალხი წავიდ-წამოვიდა და სამწუხაროთ ბევრი არ დასწრებია იმის მამობრივ დარიგებას: თუ სიკეთე და რეფორმები გინდათ, ასეთი ურიგო დეპუტატები არ უნდა აირჩიოთ დუმაში გასაგზავნათო. დარჩენილი იყო მხოლოდ ჩვენი ,,ნაფიცი'' ინტელიგენცია და თუმცა ისინი მხურვალე ტაშით შეეგებენ ამ სიტყვებს, მაგრამ შთაბეჭდილება მაინც მდარე გამოვიდა.

უცხო სიტყვათა ახსნა.

(ხაშურისათვის)

ვაგონის ბაქანი—დაწესებულება, სადაც ყოველ დღე იმართება: კარტის თამაში, ლაძღვა-გინება და დრო გამოშვებით მუშტი-კრივი.

კინკლაობა—„მოწინავეთა“ გულუბრყვილობის დამახასიათებელი ვარჯიშობა.

ლატარია—ლეგალური შანტაჟი, დამტვრეული ავჯეულობის ერთი სამად გასასაღებელი საშვალება.

მათრახი (პოლიციური)—ზურგის მოსაფხანი და ლალების ამკრეფი მანქანა.

„მალარიჩი“—მემანქანეთა და მათი თანაშემწეების სავალდებულო გადასახადი, ურომლისოთაც არც ერთი ორთქლმავალის შეკეთება არ შეიძლება მიხაილოვის დეპოში.

მასსაჟი—გვერდების დაზელვა რომელსაც დაპატიმრების დროს მხოლოდ ბედნიერი ასცდება.

სახალხო უნივერსიტეტი—კულტურულ-განმანათლებელი დაწესებულება, რომელსაც ხაშური 2909 წელს ეღირსება.

საზოგადო მოღვაწეობა—ძველი ამბავი, რომელსაც ღვინის სარდაფებში გაიხსენებენ ხოლმე.

ს. ამაშუკელი—ხაშურის კარტოჟნიკთა ჩემპიონი.

ტუსაღი — მხოლოდ ღვინის სმის დროს მოსაგონი ადამიანი. .

რკინის გზის აბანო — ტანისამოსების დასაკარგავი დაწესებულება.

რკ. გზის ბაღი — ერთად ერთი ადგილი, სადაც თავისუფლათ შეუძლიანთ გასეირნობა ღორებს.

სურამის ცეცხლი — უბედური შემთხვევა, რამაც გამოაღვიძა ხაშურის სცენის მოყვარეები და ერთი წლის შემდეგ ერთი წარმოდგენა გვაღირსა.

სულაშვილი გორა — ხაშურის ცენზორი, რომლის ნება დაურთველათაც გაზეთის წაკითხვა არ შეუძლიათ მის ნოქრებს.

უმოქმედობა — გადამდები სენი მუშებში ერთობ გავრცელებული.

„შუაზე გაწიჭკვნა“ — ხაშურში მოგონილი სასჯელი კორესპონდენტების წინააღმდეგ.

ხაშური — „სტრაჟების“ სათარეშო მოედანი.

ახლად გაეშმაკებული.

ყვირილა. თფილისიდან ისე გამოვიქეც უკან აღარ მომიხედნია. მაგრამ აქაც ვერ ვიგრძენ თავისუფლება — ნემსაძის დანახვა და ჩემი ნერვების აშლა ერთი იყო. პირველათ გავსწიე ყვირილის სამეურნეო საზოგადოებისკენ. კიბეზე ავდიოდი რომ ზმუილი შემომესმა. ვიფიქრე: ეს უთუოდ გლეხები იქნებიან და აბა ამათ სად შეუძლიან წესიერების დაცვა მეთქი. შევედი. მივიხედ მოვიხედე აქით იქით, მაგრამ არც ერთი გლეხი არ იყო. ზმუილი ბუხგალტერის მხრიდან მოისმოდა. მეგონა ალბათ პეტერბურგში წასვლა მოუსურვებია წრეულსაც თარჯიმანად და რადამც საბაბი ვერაფერი იშოვა იმისათვის ტირის მეთქი. მინდოდა ნუგეში მეცა. მომიხვთა სტოროჟი და შემაჩერა: ,,მოიცა, ყმაწვილო თორემ იმის ჯავრს შენზე ამოყრისო.‘‘ ,,ვისას?‘‘ მეთქი. ,,ვისას და შენი საქმე არ არისო — რაღას ვიზამდი გავჩუმდი. გავედი მეორე ოთახში. აქ ხუთ თუ ექვს ვაჭარს მოეყარათ თავი. ერთი რიჟა ვაჭარი ტიროდა და თავს იმართლებდა ,არ ვიცი თუ სად წავიდა ოთხი ფუთი პარკიო, ალბად სოფლელებმა მომატყუეს წონაშიო. შემეცოდა და წამოვესარჩლე. მაგრამ მომცვინდენ ვაჭრები „აქ ჩვენი ფული იკარგება თქვენ ვინ გკითხავს“-თო და ისე გამბერტყეს, როგორც ფქვილის ტომარა. გამოვექეც მათ და სირბილით ჩამოვირბინე კიბე. დაღონებული გაუდექ გზას, რომ უეცრათ განცხადება შევამჩნიე: „ილიას დღე“, „ბატონი და ყმა‘‘ ეწერა დიდი ასოებით. სწორედ დრო იყო და გავეშურე ბილეთ საყიდლად, მეგონა ვეღარ ვიშოვიდი. მაგრამ ბილეთი ვიშოვე, ხალხი სრულებით არ იყო. ვიფიქრე: „ჯერ ადრეა აქაური ერის განათლებული ხალხი ასე ადრე არ გამოვა“ მეთქი მაგრამ მოვსტყუვდი. აქაური „ჭეშმარიტი ქართველები“ კალანდაძის ცირკს უფრო მიჩვეულან ასე რომ თეატრი აღარ ახსოვთ. მასწავლებლებიც ვათვალიერე, მაგრამ ერთიც ვერ შევამჩნიე უკან ვბრუნდებოდი და ეს ხალხი ყველა მეორე ოთახიდან გამოვიდა. „აქედგან რას შეხედავდით‘‘ მეთქი ვკითხე ერთ მასწავლებელს, ,,შენსავით ტუტუცი ხომ არა ვარ წარმოდგენებზე ვიარო‘‘-ო ,,აქ კლუბია, კარტს ვთამაშობთო და ფულს ვიგებთო.‘‘ რაღა მეთქმოდა. გავუდექ გზას.

„მეც ის“

ხონი. — ხონის საფოსტო განყოფილებაში დაარსდა ,,შავი კაბინეტი‘‘ მოხელეები დიდ შრომას ეწევიან, უმეტესათ ღამით. ასეთ მუყაითი მუშაობისთვის უფროსისაგან ყველანი ჯილდოზე არიან წარდგენილი.

პატარა ეშმაკი.

წერილები რედაქციის მიმართ.

ბატონო რედაქტორო! თქვენი ჟურნალის „მათრახი და სალამური“ მე 19 ნომერში მოთავსებულია „მესტვირეული“ ვიაღც კიკოლა ბიჭისა, რომელიც გვეხება ჩვენ, დიდი ჯიხანის ქსენონ—ოფოთაქის კომეტეტს და ბრალს კეკლებს, თითქოს ჩვენ ამ ქალს სასქესოს ქსენონ „ამის გვეძენეს, თითქოს წამლებს ფასი მოუმატეთ, ხალხს ტუტეს ვაძრობთ და მოკვეს კი ორსად სჩნს“, რადგან ეოველივე ეს ჩვენს ბატონსაბეს ჩიჩესა ცხებს და მტკნარ ტიდის წამებთ მიგვიჩნია, ეგრეთვე რადგან კარგად ვიცით, რომ ზოგიერთი ვეუბატონები და ბნელი ძალები დიდი ხანია ცდილობენ, რომ ამ ერთად-ერთ დრის შესა ამნაკ კეთილურად ეკეუსებულებას—ქსენონ-ოფოთეს—ძირი კამოუთხრონ და ამთა თავისი კეკლის ნაღები და ლაბალი სურვილები შეასრულონ, ამიტომ ამისა ტიდის წამების თავიდან ასაცილებლთ და ამ საქმის კარშემო ხედოვნურად ეექმნილი ბურუსის ერთხელ და სამუდოოთ გასაფანტავთ, ვიწვევთ ბ ნ კიკოლა ბიჭს საამხანაგო სამარ ადში, დეე ამ საქმრთალზა გამოარკვიოს ვინ არის ჩვენში მართალი და ვინ მტეუანი. ჯალს ვაძლევთ ათ დღეს დღიდან ამ წერილის გამოაქვეყნებისა. დრის შესამაკლებლთ ვთხოვთ ბ ნ კიკოლა ბიჭს თანხმობასთან ერთად დასახელოს მეფიზორეები თავის მხრეთ, რის შემდეკაკ ჩვენც ჩვენსას და ასახელებთ

კომეტეტის წევრნი: მდ. კერასიმე ნუკუბიძე, კოსტა ბლიუსაძე და ჯაკეძე; ანდრო ნუკუბიძე.

—

ბატონო რედაქტორო! ჟინიადან თქვენ ბატონეტეტულ ჟურნალში № 20 ჩემს შესახებ იყო დაბეჭდილი ამბავი ქ. ოზურგეთიდან—ვითომ მე ამეთ ბახრაში ობილი მომ'თინა—ეოველ სამართლეს მოკლებული და ჯორგანობაზე აშენებული, ამიტომ თქვენის ბატონეტეტულ კეზეთის საშალებით ვიწვევ კორესპონდენტს ასეთეტორო სამართლეში. ჯალს ვაძლევ ორ კვირას.

მდ. ილიას შეკარდაძე.

მათრახის ფოსტა.

კულაში. კეთილი მსურველ. თქვენ წერილს არ ვბეჭდავთ, რადგანაც თქვენი ნდობა დაგვეკარგა. ეი თითოს გა'საკეთ: თუ თქვენ მართლა კეთილს მსურველი ხართ ამაზე უკეთესს რაღას გვიზამთ, რომ თქვენი წერილებიდან გაგანთავისუფლებდეთ.

ძუთაიში, ვარსკვლავს. თქვე დალოცვილო ვარსკვლავი თუ ხართ. «ვარსკვლავი» უნდა ეკრნოთ, რაღა «მათრახისაკენ» მოიწეეთ. როცა საპირო ექნება «მათრახი» თითონ მოგნახავთ.

ყვირილა. ეეტ' გეწყალეს. რედაქციისათვის ყოველად მოუხერხებელია ყველა წერილების ავტორებს აუხსნას მიზეზი: რატომ არ დაიბეჭდა ესა თუ ის წერილი. ეს შეიდგომაც ასე იქნება. თქვენ კერძოთ მოგეხსოვრეთ დ ადარ გაცნობეთ, რომ რამდენათაც ღარიბი იყო შინაარსით თქვენი წერილი, იმდენად ვრცელი მოხაბუღლობა ჰქონდა მას.

ბოლი. დაკარგულს. თუ ასეთი ლექსის წერაზე სერიოზულად ფიქრობთ, გამოგიტყდებით რომ მართლა დ კარგული ყოფილა თქვენი საქმე:

სამტრედია. ღელიბერელს. „ეშანაარა“.

იქავე. სოფელელს. „ეშონა“.

ბოლი. მოცალულს. თქვენი წერილი დარჩა ხმად მღაღადებლის უდაბნოს შინა.“

ციხლანი. მარგალს. თქვენ წერილის პირველ ნაწილზარს საგაზეთოდ ვეარდგენთ, მაგრ მ ბოლოში ისეთი ურიგო კილოთი სწერთ, რომ შიში მეგვეპარა: ვაი თუ ეს ყმაწვილი არც მთლად საიმედო იყოსო.

ილუსტრირებულ ფოეულიერული, ეროვნულ-კეთილშეული, სურათებიანი ჟურნალი

„მათრახი და სალამური“

წელიწადში ღირს 5 მან., ნახევარი წლით—2 მან. 50 კ., ერთი თვით—50 კაპ.

ვინც წლის ბოლომდის გამოიწერს და ღირებულ ფასს (2—50) სრულად გამოუგზავნის რედაქციას, გაეგზავნება ავრეთვე უკვე გამოსული „სალამურის“ ალმანახები 7 ნომერი.

მიიღება დასაბეჭდი განცხადებები: პირველ გვერდზე სტრიქონი 20 კ., უკანასკნელზე—10 კ.

დროებითი რედაქტორი: Тифлисъ, Типографія Т-ва «Шрома» Василію Болквадзе.

დაიბეჭდა და გამოვიდა გასასყიდათ

ახალი დრამა

პ. ირემთელისა

ქრისტინე

(სიუჟეტი ალებულია ე. ნინოშვილის მოთხრობიდან).

წიგნის გამოწერა შეიძლება მხოლოდ ნაღდფულზე შემდეგის ადრესით: *Тифлисъ, Типографія Шрома В. К. Болквадзе.*

ვინც არა ნაკლებ 50 ცალისა გამოიწერს, დაეთმობა 25%.

ვისაც სურს პროვინციებიდან თითო ცალი ზაიწეროს, შეეძლოს გამოგზავნოს ერთი აბაზის მარკები და ამ ფაფში მირეკეს თავის ადრესზე.

ელექტრო-მბეჭდავი ამხ. „შრომა“ რუს. ქ. № 3. რედაქტორ-გამომცემელი ტ. ტურაბელიძე.